

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფთი. ზამოღის ყოველ კვირა დღეს.

№ 11

მ ა რ ტ ი, 10 1896 წ.

№ 11

შინაარსი: უკანასკნელი გამოსაღება. — გაბრიელ ვისკოპოსის გარდაცვალების გამო, ლექსი სლოვანსა. — ორი ამა-
გა გაბრიელ ვისკოპოსის ცხოვრებიდან, დ. თიანეთისა. — სხვადასხვა ამბები. — გაბრიელ ვისკოპოსის
გარდაცვალებაზე, ლექსი დ. თიანეთისა. — ლურჯის შვედები. — ალ. ევაბარის გაუთავებელი კრიმინალები, აშხნაგობის ერ-
თი წყნათაგანსა. — იმერეთის ვისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებაზე, ლექსი სასონ ბენტაშისა. — მესამეც წლების მოღვაწენი
და დღევანდელი ცხოვრება, ნ. კორდანიისი. — გურის ამ ხანაგობის „უამაველის“ გამო (დასასრული), გ. თავაროქიძისა. —
მგზავრის მუნიციპალიტეტი (დასასრული), ხომალდისა. — კრძო განცხადება. —

უკანასკნელი გამოსაღება.



ღეს, ჟამსა ზამთრის გაყრისა და ვახუშ-
ლის მიგებებისა, როცა ყოველი და ყოველ-
გან მხოლოთ სიამაყნებასა და მზიარულებას
უნდა გრძნობდეს, რათა ღირსეულათ მიეგებოს ამ დიად
ბუნების ქორწილს; დღეს, როცა მხოლოთ იმე-
დი და ნუგეში უნდა იფურქქნებოდეს გულს ადამიან-
ისასა, — ჩვენ, ქართველები, მთელი საუკუნის გან-
მავლობაში მარად გულ-დათუთქულნი და იღუმე-
ლათ ცრემლის ჭურჭეველნი, ვერ ჩავერევით ამ
საერთო ადამიანთა და ბუნების ფერხულში: ჩვენ,
ძაბით მოსილნი და სამგლოვიარო შავებში გახვეულ-
ნი, უნდა უკანასკნელათ გამოვეთხოვიოთ ჩვენს გულ-
ში ღრმით ჩანერგულ და სამარადისო სათავყანებელ
გვაშს, გვაშს იმ კაცისას, რომლის ენაშქვერი სიტყ-
ვა მთელი ოც-და-თუთხმეტი წლის განმავლობაში
ხან გულს გვიანებდა და გვიშფოთებდა, როცა ჩვენს
ბიწიერებათა გვაშნილობდა, ხანც გულს მოგვეშვიტო-
და და ანკარა მთის წყაროსავით სასიებთა და იმედით
ავემალლებდა, ძალსა და ღონეს გეგარაზობიებდა, რათა
შეუკავებელთ თავ-დავიწყებამდე ჩვენთა და მოძეგრა საკე-
თილ-დღეოთ თავი დავედგა და იღუმელი ზნახეა, ხან-

გრძლიერ ზამთრით ჩვენსავე გულში დაზრულ-ვაყინუ-
ლი, გაგვერდლებია და გავეცხორციელებია; სწორეთ
დღეს, ჟამსა განახლებისა ჩვენ უკანასკნელათ უნდა გვაშ-
ბოროთ მადლით მოსილ ხელს მეცნიერი მღვდელ-მთა-
ვრისას, ჩვენი გაბრიელისას, უკანასკნელათ უნდა თაყვა-
ნი ეცეთ ამ გვაშს, ძლიერი და დიად სულის ჩვენდა შესა-
მეცნებლათ მექონეს, და უკანასკნელი ცრემლი ვა-
ფრქვიოთ, რომლითაც უნდა მიერწყვიოთ ის პირ-
ლია და შვი სამარე, რომელიც საუკუნოთ თვალ-
თავან წარგეტაცებს მას, რომ ამ ცრემლით მორა-
წყულ მიდამოზე, მთელ საქართველოს გულზე აღ-
მოცენდეს ხე ცნობადისა და ძლიერებისა, ხე ღმობი-
ერებისა და სიმტკიცისა, რომელიც თვისი მადლია-
ნი ტოტებით უნდა კაცისისი მწერგალებს მიეგვი-
ნოს და მთელი საქართველო დაფაროს, რომ მის
მძლავრ ტოტებს ქვეშ მთელ ქართლოსიანთა შეი-
ლენს ეს სამგლოვიარო ძაძა ვაგვდოდეს და გული,
ამდენი ჭირით სრული, მოგვეოხებოს და ბრწყინ-
ვალე სინამდვილით სასიების შუქი მოგვეფინოს. ამ
იმედით უკანასკნელათ გვაშბოროთ მარად დაუვიწყ-
ყრსა და საყვარელ მღვდელ-მთავარს, ჩვენს გაბრი-
ელს, საუკუნომც იყოს სასწინებელი მისი ჩვენ-
თა და ჩვენს გვარს შორის...

გაბრიელ ებისკოპოსის გადაცვალუმის გამო.

ორი ამბავი გაბრიელ ებისკოპოსის ცხოვრებიდან.

გულზე ერთი, მაგრამ უკეთესი შვილი სოფლისა: ჭრისტეს მოძღვრებით, ღვთიურ გონივრებით აღტრეპული, მით სიყვარულში, სიკეთეში მოხსურებული, დღე-ღამე ქვეყნის საკეთისთვის მღვრელი ოფისისა.

იმ დროს ცხოვრებად, რას ხსენებით ხელს განხრწნა... „ჯვარს, ჯვარს ატვირთო!“ დაღაბუდენ ფარსიყველნი, — გულდამშვიდებით უუკრებდენ იმით მშენებლნი... „სოფელში იყო — და სოფელმა იგი გერ იტანა“.

და როცა მტკრნი — მაშინდენი ესროდენ ქვეს, ის დროილი ხელაზურებით ცრემლებს ღვრდა; იმით მოქცევს, ხსნას და შვილს უფელს ვადრდა და წამოთქვამდა წმინდა გულით სთინო სიტკეპისა:

„დმერთო, უშველაქ!.. უმერებთი მქმტრებანი, — არ ესმისთ, რაც მე საკეთე ზითვის მქდა... იხსენ, უფალო, რადგან შენგან დანახადია... შეუწადე, დმერთო! არ იტანი, რას შეტყობანი...“

და ეს ხსენებუ, სოფლის მხათი, ჩაგრული ნუგეში — დღეს აღდა გუგუს, ხეუგუნა მზე დაღებული, ჩვენთვის მარწმინაჲ, თვით სიბოცისით განქმეული, იესოსავით ჯვარზე ცმული მთელ სიბოცისებში.

იტრეთ, ერნო! იგი იყო ქვეყნის დამპირი: წვედადით მორულ უმერებას ის აშუქებდა, იმისი სიტკეპე უკეთურსად გულს უღებდა; — სიტკეპე მღვრნი, თანვე შვილი, გიჟრ-დამტკარნი.

იტრეთ, ჭრისტეს მორწმუნენო! წმინდა მოძღვრნი, იესოს სწავლას ტეშმარტის აღმსარებელი, ღვთის სიყვარულით გულთ აღტრები, გამხარებელი — ძეგს უგონივრებელი, უფლის მიწა გაუმიდარი.

იტრეთ, ერმანო! თქვენი მამა, თქვენი იმედი — ის იყო დარბით, უპატრონოთ გზისა მკვლევარი; სწავლის მწუფრადათა წარსო უმტრ დაუღუგეკა; გულმოდგინებით სიკეთესა მარად მომქმედი.

იტრეთ, ვისაც არ გადიმისთ შებბ და ღსენა: იტრეთო, უმანო და მცნოგენო, ვერნო და ქაღნო! ღვრთ ცრემლები, ტვირთ მშაჲნი და დამაჲრდენი: ერის მხათობი, თქვენი მთობაი მზე ჩასვენ! სიღვრენი.

გენის საყვარელის, აწ განსვენებულის ებისკოპოსის გაბრიელის ცხოვრებაში ბევრია ისეთი შემთხვევა, რომელიც ცხადათ ატკიცებს, თუ რამდენათ საყვარელი იყო განსვენებული ებისკოპოსი ერისათვის, რამდენათ თავ-განწირვითი ცხოვრება იგი თავის დაწყსოში ყოველ გვარ ურწმუნობას და როგორ სულის სიმაღლეს და ხსიანის სიმტკიცეს ჩენდა იგი ამ ბრძოლაში. ამის დანამტკიცებლათ მოვიყვანო რამ შემთხვევას ყოველად სამღვდლო გაბრიელის ცხოვრებიდან.

1890 წელს ოც ივლ-ის ყოველად სამღვდლო გაბრიელი ბძანდებოდა სოფ. გელათის ეკლესიაში, რომელიც აშენებულია წმ. ილიას სახელობაზე. უნდა ვთქვათ, რომ ყოველად სამღვდლო გაბრიელი საზაფხულოთ უმეტეს ნაწილათ გელათის მონასტერში დაბანდებოდა. ხსენებულ დღეს ტაძრის დღესასწაული იყო. ყოველად სამღვდლოს არ უწო რავს, რადგან ეს ეკლესია იმდენათ პატარაა, რომ ათი კაცი ძლიერ მოათავსდება შიგ. ებისკოპოსმა წირვა მოისმინა გარეთ, აივანში მდგომმა, რადგან ტენი დღისა გავლა ეკლესიაში დგომა, რომელიც ხალხით იყო ვეძვდილი, შეუძლებელი იყო. წირვა გათვდა. ებისკოპოსი დაბანდა პატარა ხის სკამზე, მის გარშემო მობრავდა ხალხი და სულ-განაბული შეცქეროდა საყვარელ სულიერ მამას. — ბავშები მომიყვანეთ, ბრძანა ებისკოპოსმა: — ლოცვებს ვითხავ და ჯერებს დაუტრებებ. ბავშები მოგროვდენ. — რა ლოცვები იცი შენ? — ჰკითხა ერთ ბავშს ყოველად სამღვდლომ და თან თანვე ხელი დააფა. — მესუფეო ზეტათაო, წმინდაო ღმერთო! და მამაო ჩენო! — მიუგო ბავშმა. — აბა თქიცი! — ბავშმა შეეჩინათ თქვა ხსენებული ლოცვები, მიიღო ჯვარი ყოველად სამღვდლოს ხელით და განაჩებული ვაქცა დედასთან, რომელიც იქვე იდგა. ყოველად სამღვდლომ გამოჰკითხა ლოცვები მეროეს, მესამეს, აჩუქა ჯერები და ვაისტუმრა.

— მეტმა არაინ იცის ლოცვები? — იკითხა ყოველად სამღვდლომ. — არა! — მიიღო პასუხათ.

— უჰ! ხომ დაქარებთ ჯერები! — ვაისტუმრა ყოველად სამღვდლომ და თან საშინელი მწუხარება გამოეხატა სახეზე, როცა შეხედა, რომ თხოთმტკიცედ ბავშვი, მარტო სამმა იყო და ლოცვები. — მე ვტო ლოცვებ! — ვაისმა უცნაული ხმა ტწინ წამოგდა ვი-მან წლის კაცი. — შენ კი უნდა იყოდე! — ბრძანა ყოველად სამღვდლომ. — აბა, თქიცი, რა ლოცვები იცი?!

— „მეუფეო ზეკათაო“, „წმ. ღმერთო“, „მამაო ჩენო“, „მრწამსი“, „მიუყალე“ და „ათი მცნება“.

— „აბა, ათი მცნება მითხარია!“ — იგი მოპყუა. გაბრიელმა რამდენიმე კითხვა მისცა მას „ათი მცნების“ შესახებ, და ბოლოს პიხა: — „ოღესაჲს ლოცულობ, რა და ლოცვის იტყვი?“ — ეკლესას იტყვი — მიუგო მან. — ათ მცნებასაც? — ამასაც იტყვი. ყოვლად სამღვდელოს გაეცინა, ხალხმაც გაეცინა, თუმცა კი არ იცოდა, რისთვის. — „არა! უბანა გაბრიელმა: „ათი მცნება“ მხოლოდ გულში უნდა დამიარხო, შესარულია და არ უნდა ილოცო, ან როგორ უნდა უთხარა ლოცვაში ღმერთს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი-თქო.“ აქ ყოვლად სამღვდელოს კიდევ გაეცინა, დაასაჩუქრა ჯვარით და გაისტუმრა.

— „ჩრდილოში წაივდეთ, ჩრდილოში!“ — ბრძანა ყოვლად სამღვდელომ და წაუძღვა წინ ხალხს ცაქციის ძირში, სადაც შეენიერი ჩრდილი იყო, დადგა იქ და დაიწყო თავის მაღალი შეენიერი კილოთი ქადაგება. ხალხი შესტკეოდა, შეენიერი აზრებით აღტაცებაში მოსული. — ძალიანი არქიელი გყავს, ცხონდა მაგის შშობელი, — ამობოდა ხალხი, სახლში მიმავალი ქადაგებას შემდეგ.

ამ შემთხვევას გარდა, რომლის დამსწრე ვიყავი, ღირს-შესანიშნავი შემთხვევა ჩენი სასიკაძლო ეპისკოპოსის ცხოვრებაში შემდგვა, რომელიც მამამისმა მგალაობელმა განსვენებულმა ნიკოლოზს კანდელაკმა. ამ შემთხვევა გუთონის იმ დროს, როცა ყოვლად სამღვდლო გაბრიელს ებარა ახლანდელი გურია-სამეგრელოს ეპარქია, რომელზედაც მიწერილია აგრეთვე ლეჩხუმ-სვანეთი.

— „18... (წელიწადი აღარ მახსოვს) ზაფხულში ყოვლად სამღვდლო გაბრიელი წაბანდა სვანეთში თავის ქართულ მგალობლებითურთ. ჩვენ მივიღეთ სოფელში (აღარც ამ სოფლის სახელი მახსოვს), სადაც ეწვიეთ მღვდელ-მონაზონს მამა თეოფანეს, რომელსაც დიდად გაეხარდა ასეთი ძვირფასი სტუმრის მიღება, როგორც იყო გაბრიელი, მეტადვე სვანეთში, სადაც ამისთანა სტუმარს ძვირათ ენიმე ელირსება! მეორე დღე კვირა იყო. ყოვლად სამღვდლო მწირველი ბძანდებოდა მ. თეოფანეს ეკლესიის სულის მოსახსენებლათ. დილით ადრე მე დედისაში წავედი. ეკლესიის აღწერას არ შეუძლები: ყველა წარმოიდგენს, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ეკლესია. იგი იყო ვიწრო, დაბურული პრეტყელი ქეთ, შიგ იატაკის მაგივრათ ოღრო-იოღრო მიწა, კანკელზე რამდენიმე ხატო ფიკარზე დახატული და სხვა არაფერი... მე გამიკვირდა, რომ სვანები დილით ადრე მოვიდნენ ეკლესიაში, მათი დეკანო-

ზიც მალე გამოჩნდა. თურმე გაბრიელის ეშინოდათ, არ გვაწირიებეს, და ამიტომ მოიფიქრეს ადრე წირვა, რომ გაბრიელს არ შეეცყო. წირვა დაიწყო. დეკანოზმა საკურთხეველიდან ასამაღლებელი თქვა, რომელიც ვერც „ეკურთხეულ-არს“ ემსაგავსე და ვერც სხვა რასმე. მედღეთივე საღ „მამაო ჩენო“ წაიკითხა, საღ მიუყალე, საღ მრწამსი, რასაკვირველია, თავისებური დამატებით... დეკანოზმა ხის კათხაში, რომელიც ბარძიმის მაგიერობას ასრულებდა, ჩაასხა არაყი, ჩაყარა შიგ პური რამდენიმე ნატეხი, დაიწყო და მოწიწებით ლოცვა დაიწყო. ლოცვა რომ გაათავა, ენხარა, სვანები ამას შემდეგ რიგ-რიგათ მიდლოდნენ, იჩოქებდნენ, იღებდნენ ზიარებას დეკანოზის ხელითა და უჯანვე ბრუნდებოდნენ. სწირვა გათავდა. გაბრიელ ეპისკოპოსი ახლა მობძანდა საწირავათ. მოგახსენებ, სვანებმა უტყვე წირეს და ისიც — თუ როგორ. ეპისკოპოსი შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა! მიბძანდა იქვე მდგომ არაყის ხის ძირში და დაიწყო ქადაგება.

ქადაგებაში ეპისკოპოსი ბძანებდა, რომ სვანებს ქრისტიანობა დამახინჯებული აქვთ, რომ მათ არ იციან ეკლესიაში დგომა, პირჯვრის წერა, ლოცვები, რომ მათი მღვდლებიც კი უცოდინარნი არიან თავიანთ საქმისა და სხვ. დასასრულ უთხრა: გამოგვაზენით მღვდლებს, მათი შესმინეთ და მოიქეციეთ. უჩენია აგრეთვე მ. თეოფანეზე, როგორც მაგალითზე. სვანებმა, რა ეს გაიგონეს, აღუელდნენ, აირიფენ... ერთი სვანა, რომელმაც ცოტა ქართული იცოდა, წინ წამოაგა და ეპისკოპოსს გამოელა პარაკა:

- შენ ბარის კაცი ხარ, მე მთის. — მართალია?
- მართალია, მიუგო ეპისკოპოსმა.
- შენ სხვა ენა მოგცა ღმერთმა, მე სხვა. — მართალია?
- მართალია.
- მო, აბა, მე სხვა რჯული მომცა ღმერთმა და შენ სხვა; ჩემი რჯული კი ჯობია შენ რჯულს. ჩვენ გავგეცინა სვანის ასე უგუნურ დასყენაზე; გაბრიელმა კი შეწყვირა, თავში ხელი შემოიკრა და საშინელი სიტყვებით დაუწყო მხილება სვანებს. საშინელი წამი დადგა... სვანებში ჩოქალი შეიქნა... დაინახე, რომ რამდენიმე სვანმა ნაბდებიდან თოფები გამოაჩინეს...

კარგათ ეხსენადეთი, რომ ცუდი დღე დაგავდებოდა, თუ რომ ეპისკოპოსი ლაპარაკს თავს არ დაანებებდა და არ წამოვიდოდა. ყოვლად სამღვდლოს მოგახსენეთ: თავი დაანებე ამ მტყუებს, თორემ ცუდი მოგველის-თქო, მაგრამ ამათ. ე—სი ადგილიდანაც არ დაიძრა. იგი ისევე ხმა მაღლა ქადაგებ-

და და ამხელდა სენათა, სენებში არეულობა თანდათან მატულობდა მოისმოდა განრისხებულ სენათა მუქარა... ეპისკოპოსი ვერც ამ მუქარამ, რომელიც საწინააღმდეგობის საქმეთ აპირებდა გადაქცეას, შეაშინა: იგი თავისას არ იშლიდა. ჩვენ იძულებული შევიქნით ეპისკოპოსისთვის ხელი მოგვეყიდა და ძალით წაგვეყვანა მ. თეოფანეს სახლში, სადაც გვეპოვებოდა ბინა, რათა საწინააღმდეგობისთვის თავი დაგვეხრია.

ჟ. თამაშვილი.



სხვა-და-სხვა ამბავი.



მარტის 5-ს დრამატული საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართა სახელოწიფო თეატრში საყურადღებო კონცერტი აქაური სამუსიკო სასწავლებლის უფროსის ბ. კლენოვსკის ლოტბარობით. უმთავრეს ინტერესს ამ კონცერტისას წარმოადგენდა ბ. კლენოვსკისაგან ნოტებზე გადაღებული ქართული ხმები, ამ ხმებს მღეროდა სათეატრო ორკესტრის აკომპანიმენტით კარგათ შეწყობილი გუნდი, რომელიც 30 კაცისაგან შესდგებოდა. ყველა სიმღერები საზოგადოებას ფრიად მოეწონა და უხვად დააჯილდოვა ტაშის კერით ნიჭიერი ლოტბარი და მისი გუნდი. ბ. ილია კარგაჩემელმა თავის ლირიზმით აღსაესე ხმით, ხომ, სრულიად მოჰხიზლა მსმენელები. ერთი სიტყვით, იმდღევანდელმა კონცერტმა შეენიერი თაბუქილემა მოახდინა საზოგადოებაზე და სამუდამოთ დაუეწიყარი დარჩება ჩვენთვის მით, რომ მოულოდნელათ ფრიად დიდი სიამოვნება გვაგრძნობია. დიდი მადლობის ღირსია ბ. კლენოვსკი, რომ ასე ხელოვნურათ შეუშუშავებია ჩვენი ხალხის საერო ჰანგები. ძლიერ სასურველია, რომ ამ დროებითმა კამიტეტმა, რომელიც დაზარალებულების დასახმარებლათ შესდგა, ისარგებლოს ამ შემთხვევით და გაამეორებინოს ბ. კლენოვსკის ეს სამაგალითო კონცერტი.

ზოგადოებისათვის და 42 მ. და 5 კ. ტომსკის უნივერსიტეტის მალაშვილისათვის.

სახელოწიფო თეატრში მარტის 6-ს ქართველ მსახიობთა დასმა წარმოადგინა „მარგარიტა ვოტე“ უმთავრეს როლს ასრულებდა ჩვენი საუკეთესო დრამატული არტისტი — ქალი ეფ. მესხი. უნდა შევნიშნათ, რომ პირველ ორ მოქმედებაში მის თამაშს ცოტა არ იყო სიცხოველე აკლდა, და ბედნიერ სიყვარულისაგან გამოწვეული ვატაცება მკრთალათ ეტყობოდა, სამაგიეროთ შემდეგში ისეთი არა ჩვეულებრივი ნიჭით დაგვიხატა თავგანწირული სიყვარულის მსხვერპლი, ისეთი ძალით გამოხატა ნელო, მელანხოლიური გრძნობა მომაცდელი მარგარიტასი, ისეთი ნამდვილი, ბუნებრივი სიმარტივით იყო საესე მისი პირობა სიკვდილთან, რომ მან სრულიად დამონა მყურებელნი, საესეებით გამოიწვიამათ გულში უბედური ქალისადმი სიბრალული, და ბუფის ცრემლი მოჰკავარა. კარგები იყვენ აგრეთვე კოტე მესხი, ჩერქეზაშვილისა და ჩხეიძისა.

ამ ცოტა ხანში დაარსდა თბილისში სააღმშენებლო კომისია ამხანაგობა სახელწოდებით „შუამავალი“, რომელსაც მიზნათ აქვს შეძლებისა და გეარათ აწარმოვოს აღენ-მიცემა ყოველნაირის მოსაგაღწეობის მოგებისა, როგორც ჩვენი ქვეყნის ისე სხვა ქვეყნებისა და ამნაირათ ვახდეს შუამავალი მწარმოებელთა და მომხმარებელთ შუა. საამხანაგო წილის ფასი არის ერთი თუმანი. ამხანაგს შეუძლიან რამდენიმე წელიც შეიძინოს. ამხანაგობის დამაარსებელთ ჰქონდათ კრება და აირჩიეს დროებით გამგეობა, რომელსაც დაავალეს ამხანაგების შოვნა და ფულის შეგროვება საქმის დასაწყებათ, დროებით გამგეობის წევრებთ არიან ელ. აღნიაშვილი, გარ. რატიანი, ივ. როსტომაშვილი, ალ. გარსევანიშვილი და ვარ. ჯიქიაძე, ხოლო ხაზინადრათ ე. კარიკაშვილი. (იგეგმება)



საყურადღებო ამბები.



მეკავი, წილილი კრება კავკასიის ქართველ მისს. შემდეგ ხანგრძლივ-ს ლოდინისა კავკასიის ქართველობას ძლიეს ეღირსა ერთთა შეკრება. 19 ამა თვისას აქაურ ქართული სკოლა დარბაზში დანიშნული იყო წლიური კრება, რომელში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შიულია ბაქოიან, — სადაც იყო გამართული საქველმოქმედო საღამო, — 1142 მ. 5 კ. ამდენივე ფული გამოუგზავნიათ წყალიდობისაგან დაზარალებულთა დასარგებლოთ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დანიშნულებისამებრ ვაღუდნია: 400 მ. მოსაგაღ ქალთა სკოლისათვის, 100 მ. დრამატულ სა-

საც, სამწუხაროთ, არ დაესწრო იმაღენა ხალხი, რამოდენაც ესწრებოდა, მავალითათ, 1894 წ. ნოემბრისა და დეკემბრის კრებებს. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი იოსებ ვას. მოზღაოკელიშვილი, ნაცულოთ სკოლის თავმჯდომარის, ალ. პ. სარაჯიშვილისა, რომელიც ამ წამათ აქ არა ბძანდებდა.

კრების გახსნისთანავე კამიტეტის მდივანმა წაიკითხა სკოლის ანგარიში, რომლიდანაც ჩანს, რომ 1896 წლის 1 იანვრ-სათვის „სკოლას დარჩენილი ნაღდათ 800 მანეთამდე. სხვათა შორის ანგარიშ-შიდანვე ჩანს დახარჯული 35 მანეთი, რომელიც, ჩვენის აზრით, სკოლას არ უნდა შეეხებოდეს. ამის შესახებ მდივანი შევიტანა საზოგადოებას—კანონიერათ სთელილი ამ ხარკის თუ არაო? საზოგადოებაში გაიხმა მხოლოთ დაბლის ხმით ჩივილი, ხმა მალა-კი არაივის განუტყაბდებია და, ამიტომ, მიღებულ იქ-ნა, როგორც გვეხსოვს, 1894 წლის კრებაზე წა-კითხულ ანგარიშშიაც იყო ამ გვარი ხარჯი, რომე-ლიც თუმცა მიიღო საზოგადოებამ, მაგრამ კომი-ტეტს მაინც დაავალა, რომ შემდეგში ამგვარი ხარჯი აღარ განმეორდეს საზოგადოების დაუტოხებავათაო“; საზოგადოების აზრს-კი, ევონებ, ყურადღება უნდა მიექცეს...

ანგარიშის წაითხვის შემდეგ არჩეულ იქნა სა-წევრი სარევიზიო კომისიისა, სახელდობრ კ. ს. გვარამაძე, ა. ქ. გედევანიშვილი და დ. ა. რაგაე-სკოი.

საზოგადოებამ თხუთა კომიტეტს, დიდი მადლო-ბა გამოუტყაბდეთ პატივცემულთ ქ. ქ. პაპოიასს, ქი-ჩინაძისას, ხიმშიაშვილისას, მოზღაოკელიშვილისას და სხვათა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს „ბაზრო-ბისა“ და ბავშვებისთვის „საღამოს“ გამართვაში, და ბბ. გ. ბარათაშვილს, ალ. აფრიაშვილს, ივ. მრეველი-შვილს, გ. ბურულუს და ი. მოსულიშვილს, რომელნიც აგროვებდენ შეწირულებას სკოლის სასარ-გებლოთათ. ამ თანამდებობაზე ახლათ არჩეულ იქმ-ნენ ი. გ. მოზღაოკელიშვილი და გ. ბარათაშვილი. (აქ მტკბარ არ მიმართა გვაცნო მკითხველ საზოგა-დოებას წეს რიგი შეწირულებათა შეგროვებისა: კე-კეის ქართველობა დაყოფილი იყო უბან-უბან და უაგელ უბანში დანიშნული იყო თითო კაცი, რომელიც აგროვებდა შეწირულებას. ასევე უნდა იყოს შემდეგშიაც. თუმცა, მართალია, ორი კაცა დანიშ-ნა, მაგრამ ნება მიეცა თანამემწეინ იყოლიონ.) ბ-ნი კახიძემ წაითხა კვიციანიძისა და ქონიშვილის წერი-ლი, გამოგზავნილი სოფ. ბალითადს, რომელშიაც აწერილი იყო უნუტეგზო მღვამარება ბალითის ქარ-თველობისა და მათი ახალმოზარდი თაობისა, რომე-ლიც მოკლებულია სწავლა განათლებას. ახლა-კი,

როგორც ჩანს იმ წერილიდან ყურადღება მიუქცე-ვიით ამ არა სასურველ გარემოებისთვის. ახალგაზრ-და ახლის მწერალს, ბ-ნი ნიკოლოზ ზარეშიშვილს, აუყენანა თითქმის 40 მდე ბავში ქართველო-რებისა და ასწავლის ქართულ-რუსულ წერა-კითხვას. შემო-სწენებულნი პირნი თხოვეს კაცკეის ქართველობას, რამე დახმარება აღმოუჩინონ ბალითელ ბავშვებს, რომელთაც აქეთ სურვილი სწავლისა, მაგრამ შეუ-ძლებლობისა გამო უძნელდებათ.

ამ წერილმა თანაგრძნობა გამოიწვია და იქვე ხელის მოწერით შეგროვდა ორმოცდა ათ მანეთამ-დე. აგრეთვე რამდენიმე ახალგაზრდა შემპირდა სახელ-მძღვანელო წიგნების ყიდვას, რასაც, იმედი, კიდევ შესარულებებია.

ის იყო ხალხი იშლებოდა, რომ წამოღვა ბ-ნი ღვაკაძე და დაიწყო ლაპარაკი შესახებ ეკლესიის აშე-ნებისა. საზოგადოებამ გამოთქვა თავისი აზრი: ზოგი თხოულობდა—ჯერ ეკლესია ავაშენოთ და შემდეგ საკუთარი ქართველი მიღველი ვითხოვაო; ზოგი კი სხვაფრივ ამჯობინებდა: ჯერ ნება გამოვითხოვაო, რათა შეგვეძლოს ვიყოლოთ საკუთარი ქართველი მიღველი, რომელსაც ჰქონდეს ნება ქართულთ წირვა-ლოცვისა ოსების ეკლესიაში; რადღაც ამას შეეხსრულებენ, შემდეგ შეუვლდებოთ ეკლესიის საქ-მესაო. თორემ აბა რას ევანება, რომ უჯანსკნელი გრაში გამოვიდოთ, სკოლას მოვაკლოთ, ეკლესია ავაშენოთ და შემდეგ-კი აღარ მოგვეცენ ნება ქართუ-ლათ წირვა-ლოცვისაო?!

ჩვენ ეს უჯანსკნელი აზრი უფრო მოგვწონს. არ იქნება ურგო, რომ კაცკეის ქართველობა ჯერ რიგაიანთ ჩაუყვირდეს საქმის მღვამარებას და ისე დაადგეს რომელსამე გარდაწყვეტილებას, თორემ „წამხდარსა საქმეს რას არეებს შემჩრდა თითზე კე-ნანი?“

როგორც ვთქვით, კრებას არ დაესწრო ბევრი ხალხი, შეიძლება იმიტომაც, რომ წინა წლებსავით ბართებით არ იყვენ მიწვეულნი, არ ვიცით-კი რა მიზეზით, თუმცა საქირა იყო, რადგანაც კაცკეში არ არსებობს ქართული გაზეთი, რომელშიაც შეიძ-ლებოდა გამოცხადება. გარდა ამისა, საქირა აგრე-თვე იბეჭდებოდადენ ანგარიშები სკოლის შემოსავლო-გასაქელისა და ურგადობადეს აქაურ ქართველობას. აქ საწინელო არაფერია, და ამით-კი დააკმაყოფილე-ბენ სურვილს საზოგადოებისას და აღარ მისცემენ მიზეზს სხვა-და-სხვა უაზრო მითქმა-მოთქმისას. ასე იქცეოდა ნეტარ სწენებული მიხელო ზაალის ძე ყი-ფანი და ასევე უნდა იქცეოდეს ახლანდელი გამგე და კომიტეტი სკოლისა თუ რომ სურს ნამდვილი

ერთობა და კავშირი არსებობდეს მათსა და საზოგადოებას შუა.

აქ იკრიბება შეწირულება ნატარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდისთვის.

სამწესწავლა.

* *

დაბა დილიკანსი (განუ. გუბ.) წრევეანდელმა თოვლი-დილობამ არც ჩვენ დავეტოვა უთოველოთ. მხოლოდ საციირველი ის არის, რომ როცა სხვაგან უჩიოდნენ თოვლი-დილობას, აქ იმ დროს ქუჩებს მტვერია ადო-და და მხოლოდ თებერლის პირველ რიცხვებში დაიწყო და დრო გამოშვებით დღესაც თოვს!

დ. დილიკანსი ჰყოფს მდინარე ორ ნაწილათ: ერთს ძველ დილიკანსს, უწოდებენ, ხოლო მეორეს — „ახალს“ ანუ „მაღაყების სლაბადკას“.

უკანასკნელი სახელი მიტომ დაურქმევიათ, რომ აქ განსაკუთრებით ცხოვრებენ მალაკნები ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს „მარტლ-შოწქუნენი“. ავტო სამი-ოთხი წელიწადია ამით ცხოვრებას თვალ-ყურს ვადევნებ და შევაჩნე, რომ ეს ხალხი გაცილებით ლაზთიანათ და გონიერულათ ცხოვრებს, ვიდრე ჩვენი ვლახობა.

გარდა დილიკანსისა, მალაკნები დასახლებული არიან შემდეგ სოფლებში: ნიკიტინოში, გოლოვი-ნოეკაში, მიხაილოვკაში და სხვ.

ყველას სახლები მოწყობილია აქეთ ევროპიულ გემოვნებაზე; შიგ უდგიათ უბრალო ხის მაგიდა, სკამები და სხვა ავეჯეულობა. სახურავი ფიცრისა ან კრამიტისა, აგურის ფენები აქეთ კედლებში დატანებული. კედლები თეთრი მიწით შეღესილია და ზედ უქადიათ კედლის საათი.

სოფლებში ბევრიგან შემოღებულაია ახალი სისტემის გუთნები და სხვა სამუშაო იარაღები. აქ, დილიკანში რამდენიმე სახეხავი მაშინა აქეთ, აგრეთვე ახალი მოწყობილობის წისკილებიც. გამოჰყავთ შეწინიერი ტყავი ფესხაკელებისთვის. საზოგადოათ ამ ხალხს მეტათ ხალისიანათ შემოაქვს ყოველი ახალი დაწყობილება და ადვილათაც ითვისებს მას... დრო არის, მგონი, ჩვენმა ვლახობამაც გამოიღვიძოს და მიჰპაიოს მათ.


ტ. ა—ძე.

* *

ქ. ბათუმი. რამდენი ხანია, ბათუმის მიდამოები ქარხნებით მოფინეს, მექარხნებმა ჯიბეებიც გაისქელეს, მაგრამ ბედ-კრული მუშები არავის ვახსენებია. ამერიკელების მრისხანება და მექარხნების თაე-ვა-

სულობა მუშებზე, თუჩარასასურველ გაეღუნას უკუნიებდა, მიტკრათ არავის მოსვლია. აქ, ბათუმში მუშა ბევრია, მაგრამ სამუშაოს ვერ შოულობს და ვულ-ხელ-დაკრეფილი დადის. ვისაც კი აქვს სა-მუშავარი, არც მისი მდგომარეობაა სანატრული. ქარხნების გამგებლნი და მექარხნეები მუშებს მეტათ უზღვლიათ, თავებდათ და თაე-ვასულათ ეპყრობიან, მათ ყოველნიართ ავიწროებენ. მუშებს კი არაფითარი სახსარი, არაფითარი საშუალება არ მოეპოვებათ, რომ თავი გაიმართლონ, ტყუულა-უბრალოთ თავი არ დაჩაგვრინონ მექარხნებს და მხოლოდ მათი ჯიბეების გასასქელებლათ არ იმუშავონ. (აქ შეგვემოლო ბევრი დამახასიათებელი მაგალითი მოგვეყვანა, მაგრამ მკითხველის შეწუხების გვერიდება). ამიტომ აუცილებელ საქმიონებას წარმოადგენს „საქარხნო ინსპექტორობის“ დაარსება ქ. ბათუმში. მექარხნეთა და მათ გამგებელთა საშინელი, საოცარი თაე-ვასულობის ახალგამათ. მუშების უკიდურესი მდგომარეობის ცოტადნათ მაინც ვასაუმჯობესებლათ აუცილებლათ საქმიონა, რომ მექარხნეების მოქმედების თვალ-ყურის მკდებელის (ინსპექტორის) დანიშვნის შესახებ შუამდგომლობა იკისროს ვინმემ. დიდი ხანია, რუსეთში მეტის-მეტ საქმიონათ დინახეს ამ თანამდებობის დაწესება-დაკონონება. რადგან აქაური ნაწარმოებს რაოდენობა რუსეთისას არ ჩამოუვარდება, იმედია, მთავრობა უღმერთოთ დაზარულებს იმედს არ გაუტურებებს, თუ კი საქმეს ვინმე გულშტკინეულათ და გონიერათ გაუძღვება.

მუშა.



გაბრიელ ეპისკოპოსის ვარდაცვალებზე.

„შენ ხარ მღვდელ უკანასკნელ წესსა მას ზედა მელქისედეკისა“. ფსალმ. რთ. დ.

გაკვირა დიდი დაშინარი, მსათობა ჩვენს მსახრის! მტირათ ვინმეა მსიღველი ასეთი მწვემსთა-მთავრისა!..

ოცდა თსუთმეტი წელია, მძიმე უღელი ატარა,— არ შეუშინდა ამ უღელს, თუმც მოკრბა ჯდარა.

სმა ჭადგების მღაერა, მღელეკეული გრწინაბისა

მესამეცე წლების მალეწენი

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. წ. კრისტაფის თემაზეს გამო.)

II*)



ა პრინციპები წამოაყენა ახალმა ცხოვრებამ? ბატონ-ყმობის გაუქმება ნიშნავდა საკუთრების ღკონკურენციის თავისუფლებას. უფლება მოძრობის, შრომის ღ ნაშრომის თავისთვის გამოყენების მიეცა თვითოეული პირს, აზნაურობის თუ გლეხის, ხელოსანისა თუ ევაჰირი, ნასწავლისა თუ უსწავლის. ამით მოქმედების ასპარეზი გაფართოვდა, მაგრამ თვითოეული აქ თანასწორ ადგილს დაჰქრდა? რაკი ცხოველებს თავისუფალ ბრძოლის დედა-აზრზე დამყარდა ცხადია, აქედან ერთი გამარჯვებული და მეორე დამარცხებული უნდა გამოსულიყო. ბრძოლის ევლზე ყველა წოდება გამოვიდა, შეეჯახენ ერთმანეთს და აიჩიენ ერთმანეთში. გუშინდელი ბატონი ახალმა მოჩვენება საუკუნოთა დაძირა, გუშინდელი ყმა ზვეით ამოუტყუარებულადა. ასეთი არეუ-დარევა, გედარჩენე-გაღმორჩენეა, ახალ ჯგუფთა (კლასთა) შედგენა ჯედაც არ დასრულებულა. ჩვენ ამ პროცესში ეცხოვერობთ და ცხარე მონაწილეობას ეიღებთ.

ასეთ მიმდინარეობამ პირველათ სოფელი დაინძირა. თავდა-აზნაურობის მდგომარეობა, როგორც წოდების, შეიკა. მეურნეობის მიუხედეველ წოდებას უფელი დასჰირდა და აი, ამ დროდან იწყება მისი დეალიანება, და ეკანომიურ გზაზე უკან-უკან წასელა. ან კი შესაძლებელი იყო სახეურე? ყმების განთავისუფლება—ეს წოდებრივი ზღუდეების დანგრევა იყო. ამას მოითხოვდა ერის იმწაწილის ინტერესი, რომელიც ამ ზღუდეებში იყო მომწყვედი. მაშასადამე პირველი რეფორმა თავდა-აზნაურობის წინა-აღმდეგ შეიქმნა მიმართული. ეს შემთხვევითი, თითო-როგორისა სურვილით არ დაბადებულა, ახალი მოძრობამ, ისტორიულ განვითარებამ აუცილებლათ გახადა. ცხადია, არა რეფორმების, არამედ მისი მომავლინებლის, ეკანომიური განვითარების, მოქალაქობრიობის, მოკლედ რომ ეთქვას, ევროპელობის მსხვერპლი შეიქმნა მოწინაევე წოდება. ამ გრივალში მხოლოდ თვითოეულ პირს შეუძლია თავის გედარჩენა, მთელ წოდებას კი არასოდეს. მთელი ახალი ხანა წოდებების უარის ყოფაა, ის პირად ღირსებაზე და შეძლებზე არის დამყარებული. ასეთ

პირობებში წოდებების დაცვისათვის ბრძოლა ნიშნავს ნაწიში მგდომის ნათან ბრძოლას. მეორე მხრით, ამ გარემოებით ისარგებლა გლეხ-კაცობამ. ის ბატონ-ყმობის წინ ნიშნავდა არაუფრს, შემდეგ კი გახდა რამეთ. აქ სარგებლობა აშკარაა. მაგრამ აქ ის არ გაჩერდა, ის მედგრათ ჩაერია ატეხილ ბრძოლაში იმ იმედით, რომ თუ რამეს არ შევიძენ დაკარგვით მიიწ არას დეკარავყო, ეინადენ დასაკარგავი არაეფერი გააზნდა. აი ამ დღიდან გაისმა ჩვენს საზოგადოებაში გოდება: რამდენათ აზნაურობა უკან მიდის, იმდენათ გლეხობა წინ მოდისო. გამოჩნდა რომ ამ საერთო ბრძოლაში ბრწყინვალე წოდება თანდათან მარცხდება. მაშ საჰირია მიშველებია. ამ ნაირათ მიეცა დასაბამი ევრეთ წოდებულ თავდა-აზნაურულ მიმართულებას მწერლობაში. საოცარი ის არის რომ რამდენათ უფრო მწერლობაში, საზოგადოებამ და მთავრობამ გზა აღამალა თავდა-აზნაურობის სასარგებლოთ, იმდენათ უფრო ის დანაწილდა, დეკვიითა ღ ცხოვრების მეტ-ბორკათ ვადიქცა. ვანა ეს საკვირველი არ არის? ცხადია, აქ რალაც მანქანა დასადეწი, ბურუსია ვასაფანტავი, ამიდანაა გამოსაცნობი..

ჩანაჩრთ შეიძლება თავდა-აზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესობამ? აი კითხვის გარეშეცა დატრიალდა ჩვენი მწერლობა. მოწინაევე წოდების ხელშია თითქმის მთელი, კერძო საკუთრებაში მყოფი, საქართველოს მიწა ადგილი. მიუხედავთ ამისა ეკანომიურ გზაზე ეერ გამაგრდა. რატომ? იმიტომ, რომ მეურნეობა არ გევიარვა, ძველი იარაღებით ემუშაობთ, სამეურნეო ცოდნა არ გევაქესო, მეურნეობის ვანკარგება ერთად ერთი წამლია აზნაურობის წინა-სადეწებლობაო. მაშასადამე სამეურნეო კითხვა თავდა-აზნაურობის კითხვაა par excellence. წერილი ან სრულიად უმამულა, რასაკვირვლია, ახალი სამეურნეო იარაღების შეძენის და კულტურის შეცვლისათვის ღონე არ მისწევს. ასეთ წერილ მემამულეს ეკუთვნის, გლეხ-კაცობას რომ თავი დავანებოთ, თავდა-აზნაურობის ნახევარზე ცოტა მეტი. ³⁾ აშკარა სამეურნეო კითხვა ეს საშულა და დიდრონ მემამულეთა კითხვაა, ისე როგორც ეს ღღეს ევროპაშია (განსაკუთრებით გერმანიაში). მეორის მხრით, აზნაურობას აქვს ბანკი, ბანკის კარგათ წაყენა დამფუძნებელთა საქმის კარგათ წაყენას ნიშნავს. ბანკის კითხვა აზნაურობის კითხვაა.

³⁾ ჩვენი მიხანა აქ ან არის ეს კითხვა ვრცლათ გაფრწილი, ამიტომ ადრე ციფრები მოკვავს. სილო ვინც საშუთს მთავოსოსეს შხათ ვაწით ციფრებით დეკუტევიოთ. ეს ციფრები მთავსებულა: „Сводъ статистическихъ данных о земледелии въ Тиф. и Кут. губернияхъ“, 1893 г.

*) იხ. კვლი № 10.

ამნიართ აზნაურობის შეცვლილ მდგომარეობაში წამოაყენა ორი კითხვა: სამეურნეო და საბანკო. მწერლობა და საზოგადოება ამანების სჯა-ბასამა შეიპყრო. მაგრამ პირველყოფილი ელფერი რომ შეერჩინათ ორივე კითხვა ერთეულ კითხვად გამოაყენადეს, საქართველოს დღეს სხვა საქმე არა აქვსო. ეს კიდევ ცოტაა, სამეურნეო კითხვა ეს სოფლის კითხვაა, მაშასადამე სოფელი ის დედა-ბოძი რომელზედც უნდა აშენდეს ჩვენი კეთილ-დღეობაო. აქ თავდაზნაურობის კითხვა სოფლის კითხვად გადაიქცა. ასე ერთი კითხვა მეორეში გადადიოდა, მეორე მე-სამეში, ხოლო ყველა კი ერთში: თავდაზნაურობის რა უშედეგოა. *)

ასე ნელ-ნელა მესამოცე წლების მწერლობა მეოთხმოცდაათე წლების მწერლობათ გადაკეთდა. პირველი ერთიანად დაფუძნებულია წოდებრივი ზღუდეების დანგრევებზე, მეორე კი ამ ზღუდეების ამართვა და ვამტკიცებზე. პირველი ასულდამუდგებული-მოქალაქობრივი აზრებით, მეორე კი სოფლის მოტრიალეობით. პირველში ეროვნული ღირსეულობა აშენებულია ხალხის ეკონომიურ და ოურიდიულ განვითარებებზე, მეორეში კი თავდა-ზნაურობის შეცვლილ მდგომარეობაზე ამისათვის აქ ეროვნულ კითხვებს თავისი მიზნ-დელობა ეკარგვის, ის უშინა-არსაა, ფრაზებია, ტრამპაზობა და ეს ასეც უნდა იყოს იქ, სადაც კულტურულ, სახალხო, კითხვას თავდაზნაურულ კითხვად აქცევენ, სადაც ერის აღორძინებას უპირატესი წოდების აღორძინებას დაუტყემდებარებენ, საერთო წინამსვლელობას აზნაურული მხედულობით გასჯიან. ეს ისევე თათქარობობა, თათქარობობა ახალ მოდის, ახალი ქერქით. ნამდგელ თათქარობდეს სურდა ყველაფერი ძველ, ბატონ-ყმურ, წესზე დარჩენილიყო, ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ ახალ ელემენტს, რასაც კი მყუდრო ურთ-ერთობის დარღვევა შეეძლო. აქ ის არულ ლოდიკაშია, მასში არაერთი წინაღმდეგობა არ არის, თქვენ შეგძინ-ლიათ დედა-აზრებს არ დაეთანხმათ, მარა სოფლი-კურ ნახტომს ვერ მოუწახვით. ის ცხოვრების წყობილებას უყურებს როგორც ერთ მთელ ორგანიზმს, რომლის ერთ სახსრის გადასხვაფერება, მთელი ორ-განიზმის გადასხვაფერებას აწარმოებს. ამიტომ ის იქაც მთელ ორგანიზმს საერთოდ, მისი აზრდლი, დღევანდელი თათქარობდ სხვა სახისა. მის სურს ყვე-ლაფერი ახალი: სწავლა, ეკონომია, კულტურული

მეურნეობა, საშინაო და საგარეო ბაზარი, ფულის შექმნა და სხ. და სხ., მაგრამ ისე კი რომ სოცია-ლური ურთიერთობა არ შეიცვალოს, ქვეით გლე-ხობა, ზვეით აზნაურობა, ავტო მიღმა სოფელი და პატრიარქალური განწყობილება, იქით, მის მოშო-რებით, ქალაქი და მოქალაქობრიობა, და ასე გა-წყობილ-გალამაზებულ ცხოვრებაში თათქარობდა ბატონობა. აქ როგორც ზედათ არაერთი ლოდი-კა, სისტემატიური მხედულება არ არსებობს, ყვე-ლაფერი წუთიერი ანგარიშის მსხვერპლია. თავისუფ-ალი ზრძოლა არსებობისათვის ძირითადი კანონია, მაგრამ ამ ბრძოლაში რომ თათქარობდენი დამარცხ-დენ ეს კი უკანონობაა—აი როგორ აზროვნობს დღევანდელი თათქარობდ. ნამდგელ თათქარობდეს არ რწამდა არც პირველი და არც მეორე წინადადება და მით ლოდიკაში რჩებოდა. მის დღევანდელ აზრდლის რწამს ორი და ორი მაგრამ არ რწამს ეს რომ ოთხია. ეს კომედიაა.

რეფორმების შემდეგ ჩვენ ერთ და იმავე გზაზე მივიდვართ, არც ერთი წუთიც ამას არ გადავცდ-ნივართ და თუ მწერლობა გადაცდა ეს მწერლობა სისუსტეა და არა ცხოვრების სიძაბუნე. დროა მე-სამოცე წლებში აფრიალბული ისევე აფრიალბუ-ლია, მაგრამ მისი მატარებელი ის აღარ არის ვინც მაშინ იყო, ის ერთიანად ხალხს გადაეცა და მან თავის გულში დამალა, ცხოვრების სიღრმეში გადა-იტანა. საქორა მისი ისევე ზვეით ამოტანა და ის რაც ზედ დღევანდელმა ვითარებამ მოჰქარა საქვეუ-ნოდ გამოჩენება. აი ეს მენერ-ტეკელი* უნდა ამო-ვიდეს სიბნელიდან სინათლეში, შეუვნებლობისაგან შეგნებში და გადაიქცეს მოწინავე რაზმის დროშაში... ამ რაზმს ჩვენ დღევანდელი მწერლობა ველარ მოვე-ცემს, იმიტომ რომ ის ერთიანად გადაცა ცხოვრ-ბის კალაპოტს, ისტორიულ ნიადავს და მოგესხენე-ბათ ბურთი წინ გასაროლილი უკან ევლარ დაბრუნ-დება. მაგრამ ერთი ვიკითხეთ, შეგძლია კი მწერ-ლობას სხვაფერ მოქცეულიყო? ჩვენ ვიტყვით რომ არ შეეძლო. ეს აუცილმდელი იყო, რაიცა პირველი საბუთია ცხოვრების ზრდის და წარმატებისა. მწერ-ლობა იმიტომ დაიბნა რომ ცხოვრება შეიცვალა, ეს ცვლილება მან ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და თანტ-ზიას, უტოპიას მიეცა. *) ასეთ მდგომარეობიდან მს

*) პოეზია და პუბლიცისტიკა ამ გზას ვერ გაჰყვან- რაიცა ამტკიცებს იმას, რომ გზა იყო უღებო. სიღრა მ-თამ ნაყოფიერობამ, (სხალი ნაწარმოებნი, მესამოცე წლეუ-თან შედარებით), იკლა, რის მიზეზია პუბლიცისტიკის ანეუქლობა და მიმართულების შექმნევა.

*) ერთად ერთი სოფლის კითხვა, რის განხორ-ცილება შესაძლებელია გვერზე დეტაქსს. სსხელობრ. უშაძელობით შევიწროებულ მცხოვრებათა გადასახლება ეს სადაც შექცე თავისუფალი მიქცეობა (აქარა ქოიუდობი, სსამეწარმო—აფსაზობი და სხ.) დაბრწყობება ანისო. ეს შეიქმნა იქნა, მაშ შეიქმნა გულ-სულ დაჭრეფილი კო-კიათ. დაბრწყობებუნი შემოტრეფილი, დასაქუელი უნდა იქმნნ. რასაკვირვალა თავდა-ზნაურობის შესახებ გოდ ბა უფრო ადვილია ვინც...

გამოიყენა მხოლოდ დასავლეთი ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელმაც დღეს ჩვენ ემოყოფებით, კი ხანა განვლო და საკუთარი გზა გაიყვლია. შესწავლა ამ გზის, გამოჩვენა მისი მიღრეკილების ნიშნავს ჩვენი ცხოვრების გარკვევას და მგრძობის გათვალისწინებას. სამწუხაროა ჩვენი მწერლობა ამ მიმართულებას არ აღვია, ის ერთიანად რუსული მწერლობაა. გველენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოკალაქობრივად ჩვენსავეთ უკან ჩამორჩენილია და მასხალადმე გზას მერმისისას ვერ გვიჩვენებს...

ამ გზათ, მოღვაწეთა ის გუნდი, რომელიც მესამოცე წლებმა გამოიწვია, შეაერთა და ერთ გზაზე დააყენა, მეოთხმოცდათე წლებმა დაზალა, დაარღვია და ცხოვრების კალაპოტის აქეთ იქით გადასტყორცნა.

რა კალაპოტია ეს? რას შეიცავს იგი? რა ატრიალებს მას და რას ატრიალებს ის? ამის პასუხს ჩვენ გვეტყვის დღევანდელი ცხოვრების გარკვევა.

6. ჟორჯანია.

(შემაჯავლიანება)

გურიის ამხანაგობის „შუამავლის“—გამო.

(დასასრული *)

ბუნებრივი პროექტი დაუკრიადა ამხანაგობის დროებითი გამგეობის ნაცნობებს. საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეებში არჩეულ ექმნენ აგენტები, რომელთა რიცხვშიც მოყვა, ერთი ჩვენგანის რჩევით, ბ. ალ. თოიძე. იმ დროს, ე. ი. აპრილის 20-ში, ვფიქრობდი თბილისში წასვლას და ამიტომაც ამხანაგობის გამგეობის წევრებმა დამავალეს, აგენტად არჩეულ ალ. თოიძესათვის გადაემეცა პროექტის ფურცლები და საწვერო პაების ბაზრათები. ეს შევესრულე. ბ. თოიძესთან მეოფმა პირებმა „შუამავლის“ პროექტი წაკითხეს და ძლიერ სასიხარულოდ მიიღეს ოზურგეთში ამნარი ამხანაგობის დაარსების ამბავი. ორმა მაშინვე მოისურვა ამხანაგობის წევრობა და კიდევაც ჩაეწერენ. ამას შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ბ. ალ. თოიძეს გამგეობისთვის არაფერი არ უნდა მებოძა.

იმავე 1895 წლის მაისის პირველ რიცხვებში, კიდევ მომეცა შემთხვევა ალ. თოიძე მენახა; მის

აგენტობის მოვალეობა, წერებების შექმნა, მოვალეობა მან კი მიპასუხა: არავის შეხვეწნა შემიძლია, და თუ ეინმე ისურვებს, დიდი სიამოვნებითა.

გაზაფხულზე „შუამავლის“ აგენტ ბ. თოიძე, ზაფხულის დამდგეს ამხანაგობის სასტიკ მტრად გარდამიქცა. დაბ, იენისის პირველს, გვზ. აგერისს (საშვალეობით 1), ბ. თოიძემ ჩვენს პატარა საზოგადოებას ამცნო, რომ იგი, ბ. ალ. თოიძე, გურიის საეკვრო ამხანაგობის „შუამავლის“ აგენტობაზე უარს ატყალებს. კიდევ კარგი რომ მარტო აგენტობაზე უარის განცხადებით დამყაროვებულყოფილს, არა, ბ. ალ. თოიძე უფრო შარს წავიდა; მან თვით ამხანაგობის საფუძველზე მიიტანა იერიში. მისი რწმენით, გურიამ ამხანაგობის დამარცხებელი შეშეღარნი არიან, რადგანაც ოზურგეთში და საზოგადოდ გურიაში, „მოსული ეკვარი“ არავინ არის, ყველანი გურულენი არიანო და მაგნიორი ამხანაგობის დაარსება ამ ეკვრებისთვის მკენებული იქნებაო. აქედან ბ. თოიძის დასკვნა: მამ მთელი გურიისათვისაც მკენებული იქნება „შუამავლი“

სკლება, არაფერი გავგებოა.— შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რა მოჰყვა ბ-ნ ალ. თოიძის წყაროებს? როგორც მოსალოდნელი იყო ვახტეშის დასტამბულმა წერილმა და იმანაც უპასუხოდ დატოვებულმა, დიდი გავლენა იქონია იმ გვარ ეკვრატებზე, რომელიც მე წარსული წლის „ეკვლის“ № 41-ში დავახასიათე 2).

ჩემი პაწაწინა შენიშვნათი არც პირადად შეხებია რე ეინმეს, არც არა მითქვამს-რა გარდა მათი ნათქვამისა და ნამოქმედარისა, და აღენიშნე მხოლოდ ნამდვილი ფაქტები. ბ-ნ ალ. თოიძემ, იმის მაგეროდ, რომ თავის გასამართლებელი რამ დავწერა, ან ჩემთვის საბუთები მოვთხოვა, მიძღვნა „იერიის“ № 226—227-ში დიდი დაუსრულებელი ეპისტოლე, ამ სათაურით: პასუხათ ბ-ნ კოსტანტინე თავართქილასეს.

საუბედუროდ პასუხში პასუხი არა არის-რა და ამიტომ ჩემის ზრით, მეც გვარი წერილი, პასუხის ღირსათ არ მიმანია და არც ეყისრულობ ამას. არ მინდა, რომ ყველა იმ ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტებით მკითხველი მოეაწვირო. აბა თქვენ თითონ მიბრძანეთ, განა პასუხის ღირსია ის წერილი, რომლის მსჯელობა და კილო საზოთიროა?! ვახტეში წერის დროს მაინც ზრდილობა და პატიოსნება მოეთხოვება კაცს! ეიმეორებ,

1) ის. „იერიის“ 1895 წ. № 112.

2) „როგორ გათამამდენ გურიაში ზოგიერთი ხარბ-პატიკება, თოიძის წერილის შემდეგ“.

*) ის. „ეკვლი“, № 8.

ზოგიერთი

რომ მე არ ვაძლევ ჩემს თავს ნებას, ყველა ის სიტყვები, ყველა ის ადგილები ამოვწერო და შესაფერი პასუხი მივცე. პასუხი დეე, სხვა მისცეს, სხვა ვაზეთში, სულ ერთია. მხოლოდ თუ რამდენათ ცილის წამებით არის ავისებული, თუ რამდენათ მოკლებულია მსჯელობას და ქვეშაობებს, ამას მისი წერილის შინაარსიდან ვაივებთ:

1) ბ-ნ ალ. თოიძის რწმენით და აზრით, დიდ შეტდომაში შედის საზოგადოთ გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ ყველა წევრი და, კერძოთ საზოგადოების დროებითი გამგეობა, რომ ოზურგეთში ზემოთ აღწერილის ტიპის ამხანაგობას აარსებს, რადგან ოზურგეთში ყველა იმ გურულენი არიან...

2) გვასწავლის: „თუ მეთაურობა შეგიძლიათ, თუ სოფლისა და ღარიბისათვის გული შეგტკივთ, დაბა-სოფლათ გახსენით „მარჩანისებური“ დეპო-ბანკებიო.“

3) ბ-ნ ალ. თოიძეს ჰგონებია, თუ რომელიმე ქალაქში შკოლები არსებობენ, სამინისტრო ბარჯით ინახება ის თუ საგრიოთ, სულ ერთია, უსათურათ იმ ქალაქის ფაქტები ინახავსო.

4) ბ-ნი ალ. თოიძე ფიქრობს: თუ ერთ ქალაქში ერთი ვინმე ქველმოქმედია, სასწავლებლებს მწვევა, გზებს და ხიდებს აკეთებს, მოსწავლეებს შეწყობას აძლევს, დანარჩენისათვის აღარაფერი საქარო აღარ არისო.

ჩენი რალა გვეთქმის, უნდა დატუჯურობ ბ-ნ ალ. თოიძეს; მას რა თქმა უნდა უფრო ეცოდინებდა ჩვენი ცხოვრების ყოველივე ამბავი, რადგან ის ჩვენ დედა ქალაქშია და ჩენი კი სოფლებში, და მამასადამე სოფელში მცხოვრები სოფლისას რას შეიგნებდა? რას შეისწავლიდა?

დაბა, დაუჯერა გურიის ამხანაგობის ყველა წევრებმა და ამხანაგობის გამგეობამ ბ-ნ ალ. თოიძეს, მიიღო მისი რწმენა და წინადადება—წინადადებთ და რწმენათ, როგორც შორის გამხედლის კაცის მოსაზრება. გახსნა, როგორც ბ-ნი ალ. თოიძე გვასწავლის დაბა-სოფლებში „მარჩანისებური დეპო კასები“. მერმე რას ფიქრობს აქედან ბ-ნი ალ. თოიძე? ნუ თუ იმას, რომ სოფლებში გახსნილი „დეპო კასები“ უფრო დიდ ბრძოლას ვაუწყებს ოზურგეთის მოვაჭრეებს, თუ ეს ბრძოლათ მიჩანია ბ-ნ თოიძეს!!!

ჩემი აზრით კი დაბა-სოფლებში დეპო-კასების გახსნა ათასჯერ უფრო მავნებელი იქნება ოზურგეთის ვაჭრებისათვის, ვიდრე თვით ოზურგეთში, მაგრამ ჩენი კი, ჩენი ნაფიქრები მიზანი თუ შევასრულეთ, არა თუ ზიანს მოუტანს ოზურგეთის მოვაჭრეებს, პირიქით სასარგებლოც იქნება. ამას თვითონ საქმე დაგვანახებებს, რასაქიროა პირობები... მაგრამ ჩენ კიდევ გვაკვირებს ბ-ნ ალ. თოი-

ძის საქციელი და მისი ახლათ გამოჩეილი ფიქროსოფია.

ერთი ვიკითხოთ: ვანა სოფლათ არ არიან გურიისავე მიკედრი მოვაჭრეები, კიდევ უფრო ღარიბნი ოზურგეთის ვაჭრებზე?.. დიდაც არიან და ბევრი უფრო ღარიბნიც. ვერ ნახათ ისეთ კუთხეს, ისეთ ორ გზას, რომელიც ერთათ იყრება, ისეთ ეკლესიას, კანცელარიას, სასწავლებლებს და გზის პირებს, რომ სავაჭრო დუქნები არ იყოს და არ ვაჭრობდეს ჩენი გურულენი. ამას მიუმატოთ გურიის დაბები: ლანჩხუთი, სუფსა, ნატანები, ცემბლის ხიდი, ბაზევი და სხვა-და-სხვა... კიდევ ვიკითხოთ: რა გუკვთა ბ-ნ თოიძეს ოზურგეთმა და რა დაუშვა სოფლის უფრო ღარიბმა ვაჭრებმა, რომ ოზურგეთში არ გვენებებს და დაბა სოფლათ გვიარდება და გვასწავლის მიშველებას და დეპოების გახსნას?!. ეს დროებით ბნელით მოკული უნდა დარჩეს, რადგან მე არ მინდა, რომ ვინმეს პირადობას შევეხო... თუ ვინმე ისურვებს მისი წერილის წაკითხვას 1895 წ. „იერიის“ № № 112—226 და 227-ში იმავე კი უფრო დაწერილებით ვაივებს და მიწევდება მისი წერილმანობის ამბავს...

ბ-ნ ალ. თოიძე, ერთი ანდაზის არ იყოს, აზრების ცალმხრივობას, ღალატობას და, საზოგადოთ, გამგეობის წევრების უმეცარათ და აძუწათ აცდებს და დამახავს არ დასჯერად და კერძოთ ჩემის და ჩემი პირადი ღირსების შელახვას მიჰყო ხელი, რომელთაც მართლა იჩინა თავი. გამასწორა მიწასთან, ერთის სიტყვით რა არ მიწოდა ამ პატროსანმა კაცმა. რა ცალი ვინდა, რომ კალმით დაიწეროს და ცენზორმა გამოუშვას, რომ ალ. თოიძეს ჩემდა და სამკირებლათ, საზოგადოების თვალში, ჩემზე არ დაეწეროს? ერთი სიტყვით დაიმდაბლა თავი და უმარალოთ, უღანაშაულოთ, ათასი სიტყვით და ცილის წამებით, მაშინ ამ კაცმა. დაბა, მაშინა, მიწასთან გამასწორა, შეგბო ჩემს კერძო შინაურ ცხოვრებას და მესამე პირს, ჩემ ძმას, მაგრამ ყველა ამებზე მე თავის მართლება ბ-ნ ალ. თოიძესთან სამარცხინოთ მიმჩანია. მე ისეც დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი ალ. თოიძის წერილი უმეშტროთ დარჩება, არავინ არ დაიჯერებს, ვაერმეც, და შინაურმა და ნაცრობმა ხომ კარგათ იცან კ. თავართქილაძე და ალ. თოიძეც...

დაბა, ყველა ჩენი ნაცნობები კარგათ იცნობენ ბ-ნ ალ. თოიძესა და კ. თავართქილაძეს და სრული დარწმუნებით ვარ უცნობებიც მალე გაიგებენ და სწორეთ ამიტომ არის, რომ არ გვისრულობ და სამარცხინოთ მიმჩანია თქვენი წერილის პასუხი მოკცეთ. ერთის სიტყვით, საქიროთ არ მიმჩანია ყოფნა

ლივე თქვენი სიტყვის დამარჯვებელი და შესაფერისი პასუხი მოგვცეთ, რადგან კარგად დარწმუნებული ვარ, გამჭრიახი მკითხველი ამ პატარა წერილიდანაც იცნობს მტყუანს და მართლს ჩვენ შორის.

ახლა გადავიდეთ ჩვენს უმთავრეს პუნქტზედ. თქვენ მე გამომიწვიეთ სამედიცინო სამართალში. დიდის სამოყვანით ვასრულებთ თქვენს თხოვნას, მოვიღვივო სამედიცინო სამართალში იმ პირობით, რომ რომელიც გამტყუნდება ჩვენს შორის რომელიმე საზოგადო საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ უნდა გადახდოდეს 500 მანეთი, ხოლო რა საქმის მოხმარდეს ეს ფულები, მივინდობ ჩვენი მედიცინურებს. ამ პირობებში მე უკვე ამოჩჩეული მყავს მედიცინურებათ ორი კაცი, ორი თქვენ ამოჩჩეით, რომლებიც ამოჩჩევენ მეხუთეს, თავმჯდომარეს. ადვილი იქნება ოზურგეთში.

ბ. თაყაიშვილი.

მგზავრის შენიშვნები.

(გასკოთსაგანს)

(დასასრულად *)



იას, უნდა მედგრათ ეწინააღმდეგოთ და ბარაკადა ამ მხრით თქვენს მოქმედებას, მაგრამ, ერთი რომ მართო თქვენი წინააღმდეგი მოქმედებით ჩარჩობა და წურბელაობა არ მოისპობა; მეორეც თქვენ ფიქრობთ, რომ მართო ჩარჩობისა და წურბელაობა მიერ ფულის უღმერთოთ სესხის გაქცემა მიიყვანა თქვენი მდიდარი და შევნიერი მხარე გაკოტრების კარამდე? არა მგონია. აქ, სხვა გარემოებათა შორის უმთავრესათ ის მიზნები მუშაობს, მამო, რომ კახელნი ვაჭარი ხალხი არ არიან, უფლო არ გაანიათ და მხოლოდ მიწისა და მამულის მუშანი არიან. მიწის მოქმედნი ყოველგან უჩივიან დღეს თავის მდგომარეობას, მაგრამ იმათ სასარგებლოდ სხვაგან იღვივის მთავრობა, საზოგადოება, ინტელიგენცია, ერობა და მრავალ-გვარის დახმარებითა და შეწევნებით მიიმე უღელს უმსუბუქებენ... თქვენი კი, კახელნი ლევის ანაზარათ ხართ მიშეზღუდნი. მოდიან აქ სხვა ქვეყნიდან გადმომხვეწილი ვაჭარნი, რომელთაც ქვეყნის ნაწარმოებთა დამუშავებაში არაერთარი პარა-და-პირი მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ უჩინათოთ, რადგან მარ-

ტო მათ აქვთ ფული, ამ ნაწარმოებს არ გაანია არც გზა, არც კვალი. ეს ვაჭარნი ამ გარემოებით სარგებლობენ, ძალიან აიუთო შოულობენ და ყოველთაგან თქვენგან ლეინოს, მრავალ-გვარ კარნახულსა და საქონელს, ქალაქსა და რუსეთში კი დიდ ფასში, ერთობ ძვირათ ჰყიდიან. ამითი რასაკვირველია, ისინი მდიდრდებათ, კახეთი კი სულ უკან-და-უკან მიდის და თან-და-თან ღარიბდება... ჩემი აზრით, მიუცლიდებელი, აწინდელი დრო-ქამისა და გარემოების შესაფერი მოთხოვნებმა და სხვა კახეთისა ამ ყმათ ის არის, რომ იგი ადვილ სასიარულო, სწრაფი მიმოსვლით, რკინის გზის გაყვანის საშუალებით დაუხლოვდეს ბაზარს. ეს არის პირველი და უკანასკნელი საკითხი, რომელიც ამ საუკუნის ვასულს წამოუყენა მას ყმათა-ეითარებამ. კახეთისაკენ რკინის გზის გაყენა მოახდენს მთელ რეგიონს. კახეთს რაკი პირა-და-პირი, სწრაფი და იოლი გზა გაუქნდება თავის ნაწარმოების გასასაღებლათ, ამ გარემოებით ძალ-დატანებული თვალს გაახელს, თან-და-თან კუჟასა და გამოკლიდებს შეიძენს, თავის-თავათაც მოჰკიდებს ხელს თავის ნაწარმოის ხეირანათ და ანგარიშანათ დაფასებას და, ახლანდელთან შედარებით, ერთი ათათ ისარგებლებს იმითი. ეს გარემოება, თავის მხრით, კიდევ დიდათ დაინტერესებს თეთი კახელებს, ფულის დეფოს, ძალას და მნიშვნელობას ავრძობიებს, ყიდვა-გაყიდვის საქმეში დაასტატებს, აღუძრავს და განუეითარებს მოქალაქობრივ ნიჭსა, გაუმრავლებს სხვა-და-სხვა ახალ მოთხოვნებს, განაწილებს შრომას, გააჩაღებს მეურნეობას, გააფართოვებს საზოგადო ცხოვრების კალაპოტს, და ამით სულ ერთიანათ, ძირეულათ შეცვლის ლეინდელ თქვენი ყოფას და აალოძინებს, გაახალბებს მდიდარ ბუნებით შემკულ კახეთს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა განუსაზღვრელი ზარალი მისცა ქუთაისს და დიდათ დააქვიეთა იმისი საქმე მართო იმ, ერთი შეხედვით უბრალო ამბებმა, რომ რვა ევრსის მანძილის დაშორებით განზე გაუარა უმთავრესმა რკინის გზამ და მხოლოდ ტრავით შეურთეს. მაგრამ ქუთაისის მითვე კაცები დიდათ მეცადინებენ ამ ყმათ, რომ ეს უშედეგელი მარცხი, რომელიც წინათ მოუვიდათ, როგორმე გასწორონ... დიხ, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგან რკინის გზის გაყვანას; ასეთი მნიშვნელობა ექნება, უეჭველათ, მას კახეთისთვისაც... რაკი იმერლებიგით, გურულ-მეგრელებიგით და ზოგიერთ ქართლულსავეთ კახელებიც ჩაერყვიან აღებ-მიცემობისა და ცოდვა-გაყიდვის საქმეში, მაშინ ეს გაბერილი შემოხიზული ვაჭარნი და სახიზარ ჩარჩოთა და წურბელათა ხროვანი

*) ის. აქალი № 10.

თავის თავით, ნელ-ნელა გაჭკობიან და, ბოლოს, სრულიათ მოისპობიან კიდევ. დღენდელი ცხოვრება, მამაო, ქართველებისაგან თხოულობს გამოწერებულ ბრძოლას, ვაცილებით იმაზე უფრო მძიმე, რთულსა და ინტენსიურ ბრძოლას, რომელიც ვაგრემ მტრებთან შეტაკების დროს გაუწევიათ ჩვენს წინაპრებს, ამ წუთისოვლათ ის გაიხარებს და იხედვინებებს, ვინც გამარჯვებით იბრძვის და მოქმედებს. ჩვენს შევნიერ ქვეყანას დიდი და სანეტარო მომავალი აქვს, თუ ჩვენ ქართველებზე იმდენ ჰკუყვას და გამოცდილებას ეიხმართ, რომ ალლოს აუღლებთ ჩვენს დღენდელ რეალურ საწინააღმდეგარს, და ჩვენ-და ვასამიღრებლათ, გამოსაუზიზებლათ, მოქალაქობრივი ცხოვრების გასაძაღებლათ მივიმართოთ იმ საშუალებასა და იარაღებს, რომელით მეოხებოთ და წინაუღებულად დასაუფლოთ ქვეყნები და ერები. ჩვენი წარმატება, აღმატება და იმედი—მთელი ქართლისიანთა ერის გავეროპ-ვლებზეა და სხვა არა-რა...

— ერთი უბედურება ისიც არის, რომ კახეთს ინტელიგენცია არა ჰყავს. ვინც არის, იმთ შორის, წარმოიდგინეთ, ერთი თუ ორის მეტი მცხეთასაც არ ვასცილებთ. აბა, ვინ უნდა უწინამძღვროს კახეთს და ჩააგონოს ხალხს?

— ადვილათ მისახვედრია, თუ რატომ, რა მიზეზით არ არის კახეთში ინტელიგენცია. ვარწმუნებთ, რომ კახეთშიაც მიუცილებლათ გაჩნდებოდა ინტელიგენცია მაშინ, როდესაც კახეთიც რკინის გზას ელირსება, დაუახლოვდება განათლებულ შუა-გულ ადგილებსა და ბაზრებს და ახალ ეთიარების გზას დაადგება. ყოველგან და ყოველთქის ინტელიგენცია მხოლოდ და მარტო ამ ახალ ეთიარების წყალობით გაჩენილა და, მე არ მესმის, კახეთისათვის მარტო რათ უნდა ვააუქმოს თავისი განაჩენი საზოგადო კანონმა...

ამ მუსლიმში ვიყავით მე და მოძღვარი ვართული, დილიცანმა რომ კაქრეთის სადგურთან მივიყვანა. უცებ შეიქნა ყვირილი: მიკირტუმ, ეეა მიკირტუმ! ესტელ არი. სიტყვებით: ესტელ არი, ესტე მუტიკარა, ეს უნდა და სხვა ავგვარებთ ერთი-მეორეში აირია და ჩვენ არ გვესმოდა, რა ამბავი ხდებოდა. ის კი ვიცო, რომ თითქმის მთელი ერთი საათი გავგანერგეს, დილიცანს დაოხრებული ბორბლები რალანაირათ შეუსწორეს, მერე შეუბეს ცხენები და, მადლობა დღმერთს!.. ძლივს დავეცრეს.

საკვირველია! ოდესის ქალაქიდან მოყოლებული ბაქომდე და თბილისიდან—კაკეჯამდე და, ასე წარმოიდგინეთ, როსტოვამდეც კი (რადან კაკეჯესა და როსტოვს შუა მუშებისაგან და ნივთების გადამტან-გადამომტანთაგან გამოიჩინა ქართული) თქვენს ყურთა სმენას ატკბობს ქართული ერის ხშირი, თი-

თქმის მუდმივი ვაგონება და აქ კი, „შუა გულსა ქართველოში, რასა ეხედეთ, მთელი გზა თბილისიდან სიღნაღამდე ისე გამოიგარე, რომ არ დაიჯერებთ, არც ერთ სადგურზე ქართული სიტყვა არ გამოიჩინა. თურქე თბილის სიღნაღის ტრაქტი იჯარით აღებული ჰქონია ერთ ვილაყ ამოიანსს, რომელსაც „სტროსტებათ“, აკონდუქტორებათ“, იამ-შეკებათ“ მეგონიბებათ და სხვა მოსამსახურებათ სულ ერთიანთ თავისიანები,—იანცები დაუყენებიათ, ალოციკილს, სად მოუძებნია აძენი კრაები, რომელთაც ქართული არა ინიც არ გავცვთ! მაგრამ აქ საკვირელოც არა არის-რა. ათასიც რომ გვეყურინოს, ყოველივე ესე ამბავი... ჩვენ თავზე ახია ამოიანსცებმა კარგათ იციან, რომ ქვეყანა ბრძოლაა, დაუსრულებელი და შეუსწარბრებელი ბრძოლა და, რათ უნდა გაკვირბოთ ისინი ამ ცოდნისათვის? რომ იმედი ოსტატობითა და მოხერხებით იბრძვიან და იმთ რჩებათ კიდევ ცხოვრების მოუდანიქ!..

კაქრეთის სადგურს რომ გავცდით, იერის ხეობის ვრცელ არე-მარეს მოაწვა ზამთრის მრისსაზე და სქელ ნისლიანი ბინდი დაღამებისა. მე გულადმიღონდა, რომ ამ სიბნელეში ციყ-გამობორის მითიან, მთარია და ნუკრიანთაან, ვერ გადავხედდეთ ტურფა და ყოველ გვარის შევინებით საესე კახეთის, წინა-მხრის მდიდა ბუნების განსაცვიფრებელს სივრცეს და მომხიბვლებელს სურათს, რომელსაც ისე ალატაკებოთ, ისე ალერსით შეტრფიან ჩვენნი ნიჭიერნი მგოსანნი და მშერალონი.

სიღნაღში შევსვლის დროს მოგვესმა დუღაშის ტაბლი და სიამის მომგერელი ხმა, რომელსაც ვუცადამ ზედ დაყოლა გულის ჩამწყვეტი და ნადღობანი: „თავო ჩემო, ბედი არ ვიჭირია“... ვინ იყო ეს გულ-დამწვარი, ნეტა? კეკელუცის, ჰაეროვანის, ევსა შევნიერის ასულის სიყვარულით დამთერალი ვინაჲ ქაბუცი, თუ ბინჭურის გულის-თქმით ვატაცებულნი ხანში შისული არ-შიყი, ვინმე სიღნაღელი „ლაგადანინი?..“

სომედი.

ჩაქლაქორ-გამომდგეველი ან. თ.-წკუთლები

თბილისის ქალაქის გამგეობა და განსვენებულის **პავლე ალექსანდრეს ძის ივგაილოვის** ხსენების პატივსაცემათ შემდგარი კამისია საყოველთაოთ აყხადებენ, რომ დღეს, კვირას, **10 მარტს** ვანქის საკრებულოთ ტაძარში გადახდილი იქნება წილის წირვა და განსვენებულის საფლავზე პანაშვიდი მისი სულით მოასხსენებლათ.